KNAUF - ფლექსი

ელასტიური წებოცემენტი ფილებისთვის



გამოყენების სფერო:

ნარევი „კნაუფ ფლექსი” განკუთვნილია შენობების შიდა და გარე (მათ შორის, ცოკოლის) მოპირკეთებისათვის:

- კედლების მოპირკეთებისათვის კერამიკული ფილებით, კერამოგრანიტით, ბუნებრივი და ხელოვნური ქვით ფორმატის და წონის შეზღუდვის გარეშე;
- იატაკების მოპირკეთებისათვის კერამიკული ფილებით, კერამოგრანიტით, ბუნებრივი და ხელოვნური ქვით ფორმატის და წონის შეზღუდვის გარეშე.

ტექნიკური მახასიათებლები:

ხსნარის ვარგისიანობა: დაახლოებით 3სთ.
ბეტონისადმი ადჰეზია: სულ მცირე 1,5 მპა
ფილის კორექტირების დრო: დაახლოებით 10 წუთი
ფენის სისქე: 2-6 მმ.
ნაკერების შევსება: სულ მცირე 24 საათის შემდეგ. ზედაპირზე სიარული დასაშვებია სულ მცირე 24 საათის შემდეგ
სრული დატვირთვა: 7 დღის შემდეგ.
სამუშაო ტემპერატურა: +5°C-დან +25°C-მდე
“თბილი იატაკის” სისტემაში გამოყენების შესაძლებლობა: დიახ
ყინვამედეგობა: სულ მცირე 100 ციკლი ვარგისია დახურულ აუზებში გამოყენებისათვის.
წებოვანი ნარევის კლასი (გოსტი P 56387-2015): C2

შეფუთვა და შენახვა:

მშრალი ნარევის დაფასოება ხდება 25 კგ. და 10 კგ.-იან ქაღალდის ტომრებში. ტომრები მშრალი ნარევით „კნაუფ ფლექსი” ინახება მშრალ სათავსოებში პალეტებზე. პირველ რიგში გამოყენებულ უნდა იქნას დაზიანებულ ტომრებში არსებული მასალა. დაუზიანებელ შეფუთვაში შენახვის ვადა - 12 თვე.

საფუძველის ზედაპირის მომზადება:

საფუძველი უნდა იყოს მშრალი, ჰქონდეს მზიდი უნარი და პასუხობდეს СНиП 3.04.01-87 მოთხოვნებს. ზედაპირი უნდა გაიწმინდოს ჭუჭყისგან, მტვერისა და განშრევებებისაგან. მოსცილდეს ზეთოვანი ლაქები, ბიტუმის, საღებავის, ყალიბის საპოხი მასალების ნარჩენები. რეკომენდებულია კედლების და იატაკის საფუძველის 6 მმ-ზე მეტი უსწორობა წინასწარ გასწორდეს კნაუფის შესაბამისი მასალებით. ტენის არათანაბრად ან ნორმალურად შემწოვი საფუძველი, მაგალითად, ცემენტის ან თაბაშირის ბათქაშები, მოჭიმვები, თაბაშირმუყაოს და თაბაშირბოჭკოვანი ფილები, უნდა დამუშავდეს გრუნტით „კნაუფ ტიფენგრუნდი”. ძლიერ შემწოვი საფუძველისათვის (გაზობეტონის ან გაზოსილიკატის ბლოკები) გამოყენებულ უნდა იქნას გამოყენების ინსტრუქციის შესაბამისად გაზავებული „კნაუფ მიტელგრუნდი” ან „კნაუფ მულტიგრუნდი”. მაღალი ტენიანობის სათავსოებში (საშხაპე, აბაზანა) არაწყალმედეგ საფუძველზე, მაგალითად, თაბაშირმუყაოს და თაბაშირბოჭკოვან ფილებზე, თაბაშირის ღარქიმიან ფილებზე, წყალთან უშუალო კონტაქტის ადგილებში დატანილ უნდა იქნას ჰიდროიზოლაცია, მაგალითად, „კნაუფ ფლეხენდიხტი”. რეკომენდირებულია თაბაშირის მოჭიმვების ზედაპირები მთლიანად დამუშავდეს ჰიდროიზოლაციის მასალით. „კნაუფ ფლეხენდიხტი”-ს გამოყენების შემთხვევაში წებოცემენტის დატანა ხდება გრუნტის გარეშე. „კნაუფ ფლეხენდიხტი”-ს ჰიდროიზოლაციით დამუშავებულ ზედაპირზე ფილების დაგებისას ფილის გვერდის მაქსიმალური ზომა არ უნდა აღემატებოდეს 33 სმ-ს.

რეკომენდაციები

რეკომენდირებულია მაღალი დატვირთვის მქონე ზედაპირების (საწარმოო ფართების იატაკები), ცვალებადი ტემპერატურის ზემოქმედების ქვეშ არსებული ზედაპირების (ტერასები, აივნები, გათბობიანი იატაკები) მოპირკეთებისათვის, და ასევე დეფორმირებად საფუძველებზე (ცემენტ-ნახერხიანი ფილები) გამოყენებისათვის და ფილებზე ფილებით მოპირკეთების დროს. გაშრობის შემდეგ თბომედეგია, ყინვამედეგი და წყალმედეგია.

KNAUF - ფლექსი

ელასტიური წებოცემენტი ფილებისთვის

მასალის ხარჯი

წებოცემენტის ხარჯი მითითებულია 1 კვ.მ. ზედაპირისთვის დანაკარგების გათვალისწინების გარეშე.

ფილის ზომა, სმ.	10-მდე	10-დან 20-მდე	20-ზე მეტი
ფითხის კბილანის სიმაღლე, მმ	4	6	მაქს. 8
წებოცემენტის ხარჯი, კგ/მ²	1,7	2,2	2,9

სამუშაოების შესრულების წესი

სამუშაოების შესრულების პირობები
მოსაპირკეთებელი სამუშაოები უნდა ჩატარდეს ჰაერის და საფუძვლის არანაკლებ +5°C და არაუმეტეს +25°C ტემპერატურაზე. გასათბობი იატაკი უნდა გამოირთოს სამუშაოების დაწყებამდე სულ მცირე 24 საათით ადრე და ჩაირთოს სამუშაოების დასრულებიდან სულ მცირე 72 საათის შემდეგ.

ხსნარის მომზადება
მშრალი ნარევი ჩაყარეთ სუფთა წყლის ავზში, პროპორციით: 25 კგ. მშრალი ნარევი 7 ლ. წყალზე. საგულდაგულოდ აურიეთ ნარევი სამშენებლო მიქსერით ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. გააჩერეთ 5 წუთი და კვლავ აურიეთ.

ხსნარის დატანა
წებოცემენტის ხსნარი თანაბრად წაუსვით მომზადებულ საფუძველს, შემდეგ წებოცემენტის ფენა „დავარცხნეთ" კბილანა ფითხით (ფითხის დაქანების კუთხე -60o). ფითხის კბილანების ზომა შეარჩიეთ იმის გათვლით, რომ ფილას უკანა მხარის ზედაპირი შიდა მოპირკეთების შემთხვევაში 80%-ით დაიფაროს წებოცემენტით, ხოლო გარე მოპირკეთების შემთხვევაში 100%-ით დაიფაროს წებოცემენტით.

შემოწმებისათვის, აიღეთ ახლად დაგებული ფილა და დაათვალიერეთ უკანა მხარე. თუ წებოცემენტი არასაკმარისია, მაშინ გამოყენებულ უნდა იქნას უფრო დიდი ზომის კბილანების მქონე ფითხი ან მოხდეს წებოცემენტის დატანა საფუძლზეც და ფილას უკანა მხარეზეც. წებოცემენტით დასაფარი ზედაპირის მაქსიმალური ფართობი განისაზღვრება 10 წუთის განმავლობაში მასზე ფილების დაგების შესაძლებლობის მიხედვით. დატანილი წებოცემენტის ზედაპირზე თხელი მშრალი ფენის არსებობის შემთხვევაში, წებოცემენტის ფენა მოცილებულ უნდა იქნას და შეიცვალოს ახალი ხსნარით.

ფილების დაგება
წებოცემენტის წასმიდან 20 წუთის განმავლობაში საფუძველზე დადეთ ფილა და მჭიდროდ მიაჭირეთ. ფილის გასწორების დრო შეადგენს არაუმეტეს 10 წთ. ფილების დაგების და გასწორების დრო დამოკიდებულია საფუძველის შეწოვის უნარზე და გარემოს ტემპერატურაზე. რაც მეტია საფუძველის შეწოვის უნარი და მაღალია ტემპერატურა, მით უფრო ნაკლებია ფილების დაგების და გასწორების დრო.

ყურადღება! ფილების დაგება უნდა ხდებოდეს ღრეჩოებით, ნაკერის სიგანე განისაზღვრება ფილების ზომის და ექსპლუატაციის პირობების მიხედვით. დაუშვებელია ფილების დაგება ღრეჩოების გარეშე.

რეკომენდაციები
- დიდ ფართობებზე გარე სამუშაოების შესრულებისას მოპირკეთებაზე ტემპერატურის ცვალებადობის ზემოქმედების გამო გასათვალისწინებელია დეფორმაციული ნაკერები.
- არ არის საჭირო დაგებამდე ფილების დასველება წყლით.
- ხსნარის გაზავებისას არ შეიძლება წყლის გარდა რაიმე სხვა კომპონენტების დამატება.
- წებოცემენტის ჭუჭყები მოცილებულ უნდა იქნას დაუყოვნებლივ, გაშრობამდე.
- წებოცემენტთან მუშაობისას გამოიყენეთ ხელთათმანები.
- მოერიდეთ ხსნარის მოხვედრას თვალებში, ხოლო მოხვედრის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ჩამო-იბანეთ წყლით და მიმართეთ ექიმს.
- სამუშაოების დასრულებისთანავე ინსტრუმენტები გარეცხეთ წყლით.

ინსტრუმენტები

- პლასტმასის ავზი
- მიქსერი (N ≥ 800 ვტ)
- კბილანა ფითხი
- უჟანგავი ფოლადის კელმა - კაფჩა

კომპანია „კნაუფი" იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები, რომლებიც არ ეხება მასალების და კონსტრუქციების ძირითად მახასიათებლებს. ყველა ტექნიკური მახასიათებელი უზრუნველყოფილია ფირმა „კნაუფი"-ს მიერ რეკომენდირებული მასალების გამოყენებისას. მასალების ხარჯის, რაოდენობის და გამოყენების შესახებ არსებული ყველა მითითება საანგარიშოა და აღნიშნულისაგან განსხვავებულ შემთხვევაში საჭიროებს დაზუსტებას. დამატებითი კონსულტაციისათვის მიმართეთ „კნაუფი"-ს ტექნიკურ სამსახურებს.

ტელ.: +995 32 224 25 02 +995 32 224 25 03
ფაქსი: +995 32 224 25 04
www.knauf.ge
info@knauf.ge

შპს კნაუფ გიპს თბილისი
საქართველო, თბილისი
0160, გამრეკელის ქ. 19